ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ41. 4124025001**

თარიღი:**25/01/2024**

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიაში ექსპერტ-კონსულტანტის მოწვევის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ" პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომისკოდექსი"-ს მე-12 მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 84-ე მუხლის პირველი პუნქტის, „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ნოემბრის №7 დადგენილების 113-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის 2024 წლის 25 იანვრის N41-41240245 - მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიაში (შტატგარეშე) ექსპერტ-კონსულტანტად შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე 2024 წლის 25 იანვრიდან 2024 წლის 25 ივლისის ჩათვლით (6 თვის ვადით) მოწვეულ იქნეს - ია სიჭინავა (მისამართი: ქ. სენაკი, გუბაზ მეფის ქ. №22; პირადი №39001018673).
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს - საკრებულოს აპარატის უფროსს - ლევანი თულაძეს.
3. ბრძანების ასლი გადაეგზავნოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას; ია სიჭინავას.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ.სენაკი,4100 შ.რუსთაველის ქ. №243 , ტელ: 0413 27 60 60, 27 50 16
ელ-ფოსტა: SAKREBULO.SENAKI@GMAIL.COM ვებ: WWW.SENAKI-SAKREBULO.GOV.GE

შრომითი ხელშეკრულება №2

ქ. სენაკი 25 იანვარი 2024 წელი

ერთის მხრივ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო „დამსაქმებელი“, რომლის რეკვიზიტებია: მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ.№ 243; საიდენტიფიკაციო კოდი: 239889705
და მეორეს მხრივ ია სიჭინავა „დასაქმებული“, რომლის პირად დოკუმენტთა რეკვიზიტებია: მის: სენაკი, გუბაზ მეფის ქუჩა №22 ; პირადი №39001018673,
ვმოქმედებთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. ხელშეკრულების საფუძველზე „დამსაქმებელი“ ღებულობს „დასაქმებულს“ – სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიაში შტატგარეშე სპეციალისტად. დასაქმებული შეასრულებს: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის დავალებებსა და მიიღებს მონაწილეობას ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის მუშაობაში, ასევე გაუწევს კონსულტაციებს კომისიის თავმჯდომარეს. დასაქმებული ანგარიშვალდებულია სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის წინაშე.

2. მხარეთა ვალდებულებები:

2.1. დასაქმებული ვალდებულია:
2.1.1. განახორციელოს თავისი საქმიანობა საქართველოს კანონის შესაბამისად;
2.1.2. დაუყონებლივ შეატყობინოს საკრებულოს თავმჯდომარესა და სივრცითი - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების პროცესში წარმოშობილი ან/და მოსალოდნელი ნებისმიერი პრობლემის შესახებ, რათა დროულად მოგვარდეს პრობლემა.
2.1.3. პერიოდულად მიაწოდოს ინფორმაცია სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს სამუშაო პროცესის მიმდინარეობის შესახებ;
2.1.4. შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები კეთილსინდისიერად, დროულად და მაღალპროფესიულ დონეზე;
2.1.5. გაუფრთხილდეს დამსაქმებლის პრესტიჟსა და ავტორიტეტს;
2.2. დამსაქმებელი ვალდებულია:
2.2.1. შეუქმნას დასაქმებულს ნორმალური სამუშაო პირობები, უზრუნველყოს დასაქმებული სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მოწყობილობებითა და აქსესუარებით;
2.2.2. სამუშაოს დაწყების წინ მიაწოდოს ინფორმაცია დასაქმებულს მისი სამუშაოს შინაარსის შესახებ.

3. სამუშაო დრო

3.1. სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს კვირაში.
3.2. ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება კვირაში 40 საათს.
3.2.1. ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.
3.2.2.ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია დასაქმებულისათვის დამატებითი დასვენების დროის მიცემა.

4. შვებულება

4.1. დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით - წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით.
4.2. დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით - წელიწადში სულ მცირე 15 კალენდარული დღით.
4.2.1. ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დასაქმებული ვალდებულია 2 კვირით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი შვებულების აღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო.
4.3. დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან, თუ მუშაობის დაწყებიდან ან უკანასკნელი შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია - ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურების შემთხვევაში - ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით.

5. შრომის ანაზღაურება

5.1. დასაქმებულს შრომის ანაზღაურება (ხელფასი) განესაზღვროს 625 (ექვსას ოცდახუთი) ლარის ოდენობით.
5.2. შრომის ანაზღაურება (ხელფასი) გაიცემა თვეში ერთხელ უნაღდო ანგარიშწორებით (პლასტიკური ბარათის საშუალებით).

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ძალაში შესვლა და ვადამდე შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულება იდება 2024 წლის 25 იანვრიდან 2024 წლის 25 ივლისის ჩათვლით (6 თვიანი ვადით).
6.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.
6.3. ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, ასევე საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი"-თ გათვალისწინებულ შემთხვევებში, საფუძვლებითა და წესით.

7. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.
7.2. ფორს-მაჟორის დადგომის შემთხვევაში მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს.

8. დასკვნითი დებულებები:

8.1. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოება გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით;
8.2. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაწყვეტს სასამართლო;
8.3. ხელშეკრულება იდება ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ იდენტურ ეგზემპლარად. თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას;
8.4. ხელშეკრულებაში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა წერილობითი თანხმობით;
8.5. ურთიერთობები რომლებიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

დამსაქმებელი:	დასაქმებული:
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №243 ტელ: 0 413 27 50 16 ფაქსი: 0 413 27 52 11 E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com საიდენტიფიკაციო კოდი 239889705	ია სიჭინავა (სახელი, გვარი) ქ. სენაკი, გუბაზ მეფის№22 პირადი №39001018673, 13IF5332 (იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი პირადობის მოწმობისა და პირადი ნომერი) ტელ: 599 76 47 70
საკრებულოს თავმჯდომარე: საბა ოდიშარია (ხელმოწერა) ---------- ხელმოწერის თარიღი: 25 იანვარი 2024 წ.	---------- (ხელმოწერა) ხელმოწერის თარიღი: 25 იანვარი 2024 წ.